საერთაშორისო საგანმანათლებლო
პროექტი **“EU & Me: Growing Citizens”**

მოამზადა ლია სართანიამ

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტი **„EU & Me: Growing Citizens“** განხორციელდა საქართველოს, თურქეთისა და ხორვატიის პარტნიორი სკოლების თანამშრომლობით და მიზნად ისახავდა 11–18 წლის მოსწავლეებში ევროკავშირის კონცეფციის, მისი ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებას, პარალელურად კი გლობალური მოქალაქეობის, თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას. პროექტი ეფუძნებოდა შერეულ ფორმატს (ონლაინ ურთიერთობა, ციფრული პლატფორმები, გუნდური და შემოქმედებითი აქტივობები) და AI ინსტრუმენტების ინტეგრაციას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და სწავლების ეფექტიანობა. განხორციელებული აქტივობების შედეგად მონაწილეებმა განივითარეს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ICT-კომპეტენციები, კვლევითი და საპრეზენტაციო უნარები, ხოლო პროექტი დასრულდა მდგრადი საგანმანათლებლო შედეგებითა და ეროვნული ხარისხის აღიარებით (National Quality Label).

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტი **“EU & Me: Growing Citizens”** წარმატებით განხორციელდა საქართველოს, თურქეთისა და ხორვატიის პარტნიორი სკოლების მონაწილეობით. პროექტში ჩართული იყო 7 მასწავლებელი - 4 თურქეთიდან, 2 საქართველოდან და 1 ხორვატიიდან - და 11–18 წლის ასაკის 38 მოსწავლე . თანამშრომლობა მიმდინარეობდა შერეული ფორმატით: ონლაინ ურთიერთობა, თემატური სემინარები, გუნდური სამუშაოები და საერთაშორისო ციფრული თანამშრომლობა TwinSpace პლატფორმაზე.

პროექტის მთავარი მიზანი იყო მოსწავლეებს გაეცნოთ ევროკავშირის კონცეფცია, მისი ღირებულებები და კულტურული მრავალფეროვნება, ხოლო ამასთანავე განევითარებინათ გლობალური მოქალაქეობის, თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის უნარები. აქტივობები განხორციელებული იყო ინტერაქტიულ AI ინსტრუმენტებში, ციფრულ პლატფორმებსა და ეფუძნებოდა შემოქმედებით მიდგომებს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და სწავლების ეფექტიანობა.

პროექტის დასრულებამ ნათლად აჩვენა, რომ მონაწილეებმა სრულად გაიაზრეს ევროკავშირის ძირითადი პრინციპები - თანასწორობა, მშვიდობა, მრავალფეროვნება, თანამშრომლობა და საერთო პასუხისმგებლობა. მათ განივითარეს ICT-უნარები, დიზაინი, კვლევა, პრეზენტაცია, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. გაძლიერდა პიროვნული და სოციალური კომპეტენციები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, ლიდერობა და სხვადასხვა და სხვათა შეხედულებების მიღება.

პროექტი შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და 21-ე საუკუნის კომპეტენციებთან - სამოქალაქო ცნობიერება, ციფრული განათლება, კულტურული ინტეგრაცია, შემოქმედებითობა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

პროექტის ქრონოლოგია

მარტი	**საორგანიზაციო და მოსამზადებელი ეტაპი** პარტნიორ სკოლებს შორის გაიმართა საკოორდინაციო შეხვედრები, განისაზღვრა როლები და სამუშაო სტრუქტურა. ჩატარდა მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების საწყისი გამოკითხვები, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა აქტივობების საჭიროებები და მიმართულებები. მარტის ეტაპმა უზრუნველყო ეფექტიანი სტარტი და საერთო ხედვის ჩამოყალიბება.
აპრილი	**შემოქმედებითი აღმოჩენების და ღირებულებების თვე** **„ერთი დღე ევროკავშირის მოქალაქის ცხოვრებაში“** - მოსწავლეებმა წარმოიდგინეს ყოველდღიური ცხოვრება ევროკავშირის ქვეყნებში, გამოიკვლიეს კულტურა, ჩვეები, საკვები, გადაადგილების საშუალებები და AI-ის დახმარებით შეაგროვეს საინტერესო ფაქტები. განხორციელდა **ლოგოსა და სლოგანის კონკურსები**, რომელთა შედეგად შეირჩა პროექტის ოფიციალური ვიზუალური იდენტობა. **„EU Values in Action: მშვიდობა და ერთიანობა“** - ბავშვებმა გაიაზრეს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების არსი და მოგვარების გზები და შექმნეს თემატური პოსტერი და ვიზუალური მასალები. **22 აპრილს** აღნიშნეს **Earth Day/ დედამიწის დღე**, რაც გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა.
მაისი	**მრავალფეროვნების, თანამშრომლობის და შემოქმედების თვე** EU Culture Fair **- მოსწავლეებმა შეისწავლეს ევროკავშირის ქვეყნები, AI-ის დახმარებით მოამზადეს პრეზენტაციები და ჩაატარეს მცირე კულტურული ფესტივალი.** „ვირტუალური ევროკავშირის ქალაქი“ Minecraft-ში **- გუნდებმა ააგეს მოდელირებული „EU ქალაქი“, სადაც გადაჭრეს საერთო რესურსების, ეკოლოგიისა და თანამშრომლობის გამოწვევები.** **აღინიშნა** eTwinning -ის 20 წლის იუბილე**, სადაც მოსწავლეებმა შექმნეს „ღირებულებების ელჩის“ ბარათები და გააზიარეს Padlet-ში.** **შეიქმნა** თემატური ელექტრონული წიგნი და საინფორმაციო ბროშურა**, რომლებიც ასახავს პროექტის მთელ შინაარსს და შედეგებს.** **მაისის ბოლოს შეივსო** პროექტის ბლოგი**, სადაც აიტვირთა ფოტომასალა, პრეზენტაციები და ვიდეოები. სკოლებში გაიმართა** სკოლის საზოგადოების შეხვედრა**, სადაც მოხდა პროექტის პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოების წინაშე.**

ელექტრონული წიგნის შექმნა - პროექტის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი
პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამთავიანი e-book/ელ-წიგნი, რომლის შინაარსი სამმა გუნდმა ერთობლივად მოამზადა:

პირველი გუნდი	**მეორე გუნდი**	**მესამე გუნდი**
ზღაპრული ენით აღწერა ევროკავშირის შექმნის ისტორია, დამატებით შექმნა „წერილები წარსულიდან“ და EU დროშის „თორმეტი ვარსკვლავის“ მაგიური ამბავი.	შექმნა მოგზაურობა მილას ჯადოსნურ ჩემოდანთან ერთად 12 ევროპულ ქვეყანაში.	აღწერა თანამედროვე ევროკავშირი ბავშვის თვალით და წარმოადგინა მომავლის ევროპის ფანტაზიური ხედვები. დასკვნით თავს - „ჩვენი ევროპა - მეგობრობის ადგილი“ - გუნდებმა ერთად დაამატეს ბავშვების ციტატები და „სურვილების კედელი“.

ელექტრონული წიგნი წარმოადგენს სახალისო, საგანმანათლებლო და ილუსტრირებულ გზამკვლევს ბავშვებისთვის.

მიღწეული შედეგები

“**EU & Me: Growing Citizens**” არის მაღალკვალიფიციურად დაგეგმილი და განხორციელებული საერთაშორისო პროექტი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააძლიერა მოსწავლეთა ცოდნა ევროკავშირის შესახებ, განუვითარა მათ გლობალური მოქალაქეობის უნარები, გააძლიერა მათი ციფრული და შემოქმედებითი კომპეტენციები და წვლილი შეიტანა მათ,როგორც პასუხისმგებელ, აქტიურ და საერთაშორისო აზროვნების მქონე ახალგაზრდებად ჩამოყალიბებაში.
პროექტი დასრულდა მდგრადი შედეგებით, ხარისხის აღიარებით და პარტნიორ სკოლებს შორის გაძლიერებული მეგობარი ურთიერთობებით.
პროექტის დასრულების შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი: მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ ერთობლივ ონლაინ სამუშაოებში TwinSpace-ზე, რასაც შედეგად მოჰყვა არა უბრალოდ პოსტების გამოქვეყნება , არამედ რეალური კოლაბორაცია: ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ იდეებს, ადარებდნენ და ქმნიდნენ საერთო თემატურ მასალებს. ამ საერთო შრომამ მათ განუვითარა კრიტიკული აზროვნება, კვლევითი უნარები და პასუხისმგებლობა .
საერთაშორისო პარტნიორობა სამი ქვეყნის მონაწილეობით საშუალებას აძლევდა ბავშვებს ენათაშორის და კულტურათაშორის თანამშრომლობაში წარმოჩენილიყვნენ. მათ ისწავლეს ერთმანეთისგან - როგორ შეიძლება ერთიდაიგივე თემაზე განსხვავებული ხედვის წარდგენა, ან როგორ იქმნება საერთო პროდუქტი განსხვავებული გამოცდილების მქონე თანატოლებთან ერთად.
პროექტის იდეური და საგანმანათლებლო ღირებულება ასევე აღიარებული იქნა ეროვნული დონეზე - მას მიენიჭა National Quality Label, რაც ადასტურებს როგორც საქმიანობის ხარისხს, ისე მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის ეფექტს.

პროექტის ალტერნატიული ვარიაციები – საკლასო და სასკოლო ქსელის დონეზე

(პროექტის ადაპტირებული ვერსიები იმ მასწავლებლებისთვისაც, რომლებიც არ არიან ჩართული საერთაშორისო პროგრამაში)

თემა	**იდეა (მოკლე აღწერა)**	**საკლასო ვერსია**	**სკოლებს შორის კოლაბორაციის ვერსია**
ევროკავშირის ღირებულებები	ევროკავშირის ძირითადი ღირებულებების გაცნობა	დისკუსია და პოსტერზე მუშაობა	ერთობლივი ციფრული პოსტერების შექმნა
კულტურული მრავალფეროვნება	ევროკავშირის ქვეყნების კულტურის შესწავლა	პრეზენტაციები ერთ ქვეყანაზე	სკოლები ერთმანეთს აცნობენ საკუთარ კვლევებს
გლობალური მოქალაქეობა	პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობის გააზრება	ქეისების განხილვა კლასში	საერთო ონლაინ დისკუსია
მშვიდობა და კონფლიქტების მართვა	მშვიდობიანი გზებით კონფლიქტის მოგვარება	როლური სიტუაციების ანალიზი	ერთობლივი ვიდეო/პოსტერ კამპანია
გარემოსდაცვითი ცნობიერება	გარემოზე ზრუნვის მნიშვნელობა	Earth Day-ის აქტივობა კლასში	სკოლებს შორის გარემოსდაცვითი კამპანია
ციფრული უნარები	ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება	Padlet/Canva პროდუქტები	საერთო ციფრული პლატფორმის გამოყენება
შემოქმედებითი აზროვნება	იდეების ვიზუალიზაცია	ნახატები, კოლაჟები	ერთობლივი ონლაინ გამოფენა
კვლევითი უნარები	ინფორმაციის მოძიება და ანალიზი	მცირე კვლევა კლასში	შედეგების შედარება სკოლებს შორის
ელექტრონული წიგნი	საერთო თემის მიხედვით ისტორიის შექმნა	კლასის e-book	სკოლებს შორის ერთობლივი e-book
რეფლექსია და შეფასება	მიღებული ცოდნის გააზრება	თვითრეფლექსიის ფურცელი	ონლაინ შეხვედრა გამოცდილების გასაზიარებლად

https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/eu-me-growing-citizens/twinspace/pages
https://www.youtube.com/watch?v=dViE1oeDduY&t=1s
https://www.spatial.io/s/EU-Values-in-Action-Peace-and-Unity-683f58adde1c6b12813c9ab8?share=3229687255836100259
https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/eu-me-growing-citizens/twinspace/pages/exploring-diversity-and-learning-each-other-eu-culture-fair
https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/eu-me-growing-citizens/twinspace/pages/building-virtual-eu-city
https://read.bookcreator.com/HKKGePXq9AMBksJv79g3YGWWjw73/3Ggx55kPTHmeKXDgk96aXw/rMqchtArSK6a2cEZtgRa5g
https://school-education.ec.europa.eu/en/etwinning/projects/eu-me-growing-citizens/twinspace/pages/thematic-brochure
https://eu-and-me-growing-citizens-etwinning.blogspot.com/